

ანოტაცია

მთლიანად რაჭა და კერძოდ რაჭის ქვაბული გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი პირობებით, გეოლოგიური აგებულებით, ლანდშაფტებით, ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვით, სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობით, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურმა საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობამ (ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობამ (ნაგულისხმევია რაჭა-საჩხერე-თბილისის მაგისტრალი), სტიქიური პროცესებისადმი სარისკო ტერიტორიების ათვისებამ, მაღალი გადამცემი ანძების აღმართვამ, ჰესების მშენებლობამ, დასახლებული პუნქტებისათვის ბუნებრივი გაზის მილსადენების გაყვანამ, ანუ რელიეფის ძლიერმა ანთროპოგენიზაციამ და არსებულმა ბუნებრივმა პირობებმა, გამოიწვია საშიში გეოდინამიკური პროცესების (ღვარცოფები, ეროზიული მოვლენები, მეწყერი, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, დახრამვა) დიდი მასშტაბით გააქტიურება, რასაც თან ახლავს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ზარალი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებულია მრავალსპექტრიანი გეოდინამიკური პროცესები: ღვარცოფები, მეწყერები, წყალდიდობები, ეროზია და სხვ. სტიქიური პროცესები ვრცელდება საკვლევ ტერიტორიის თითქმის მთელ არეალში. რისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორიც ადამიანის ინტენსიური საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც მიმდინარეობს ღვარცოფების, მეწყერების და ეროზიული პროცესების განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ფონზე.

რეგიონის მეცნიერული შესწავლის შესახებ არსებული მასალებიდან და ამჟამად არსებული მდგომარეობის შედარებამ დაგვანახა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ძლიერაა გააქტიურებული თანამედროვე გეოდინამიური პროცესები.

აქედან გამომდინარე რაჭის ქვაბულის ფარგლებში თანამედროვე გეოდინამიური პროცესების შესწავლა და ამჟამინდელი მდგომარეობის დეტალური შეფასება მეტად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, იმ ფონზე, რომ მსგავსი რამ, კონკრეტულად რაჭის ქვაბულის შესახებ, დღემდე არ გაკეთებულა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადიპლომოს კვლევის ამოცანას წარმოადგენს რაჭის ქვაბულის ფარგლებში თანამედროვე გეოდინამიური პროცესების შესწავლა და რელიეფის მდგრადობის დონის შეფასება, თუნდაც იმიტომ, რომ ქვაბულში არსებულ რამდენიმე დასახლებულ პუნქტს მიენიჭა კურორტის სტატუსი.